როგორ აღიქვამენ და უმკლავდებიან სასკოლო გარემოში გამოვლენილ მოზარდობასთან დაკავშირებულ ქცევით სირთულეებს მასწავლებლები

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის

განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომი

ელენე ჯორთმენაძე

ნაშრომის ხელმძღვანელი: ნინო სხირტლაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

20 ივნისი, 2025 წელი

მადლობა

მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ნინო სხირტლაძეს, რომლის მითითებების, კომენტარების, აქტიური ჩართულობის, დროული რეაგირებისა და კომპეტენციის გარეშე ვერ შევძლებდი ამ სამუშოს შესრულებას და ჩემი სამაგისტრო ნაშრომი საერთოდ ვერ შედგებოდა.

ძალიან დიდ მადლობას ვუხდი ჩემს კოლეგა მასწავლებლებს, რომლებთან მუშაობის პროცესშიც გამიჩნდა აღნიშნული საკვლევი საკითხის იდეა და დიდი ინტერესითა და მოტივაციით ვიმუშავე.

განსაკუთრებული, მადლობა ჩემს რესპოდენტებს, რადგან მათი მონაწილეობის გარეშე ვერ იქნებოდა ეს ნაშრომი უნიკალური და ღირებული, განსაკუთრებით ჩემთვის.

ბოლოს, დიდი მადლობა თითოეულ ადამიანს, ვინც მომცა მოტივაცია, ცოდნა, ინსპირაცია და დამეხმარა სამაგისტრო საფეხურის თითოეულ ეტაპზე.

აბსტრაქტი

განათლების ფსიქოლოგიისთვის განათლების სისტემაში ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინება და სასწავლო პროცესის მათთან ადაპტირება ერთ-ერთი მნიშნელოვანი მიზანია. სასკოლო გარემოში არსებული სირთულეების შესწავლა ეფექტური მეთოდია საგანმანათლებლო სივრცეში არსებული საჭიროებების დასადგენად და შესაბამისი ინტერვენციის გეგმის დასანერგად. მასწავლებლები არიან სასკოლო გარემოში არსებული სირთულეების მცდონე მთავარი რგოლი. მასწავლებლების პერსპექტივისა და გამკლავების მექანიზმების შესწავლა მნიშვნელოვანია, რადგან გვაძლევს საშუალებას მოსწავლეებთან და საგანმანათლებლო პროგრამასთან უშუალო კონტაქტში მყოფი პირების ხედვა გამოვიყენოთ და მათ მოვარგოთ შესაბამისი სამუშაო გეგმა. მოზარდობის ასაკი პიროვნული განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია და ბევრი გამოწვევით ხასიათდება. სასკოლო გარემოში კი მოზარდობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ქცევითი სირთულეების სახით გვხვდება. საინტერესოა, ამ საკითხის გარშემო მასწავლებლების პერსპექტივისა და დამოკიდებულებების გაცნობა, რათა გავიგოთ კონკრეტულად რას აღქივამენ მოზარდობისთვის დამახასიათებელ ქცევითი სირთულეებად და რა გამკლავების მექანიზმებს იყენებენ. შესაბამისად, აღნიშნული კვლევის მთავარი საკვლევი კითხვაა: “როგორ აღიქვამენ და უმკლავდებიან სასკოლო გარემოში გამოვლენილ მოზარდთა ქცევით სირთულეებს მასწავლებლები?” კვლევაში მონაწილეობა მიიღო ხელმისაწვდომობის პრინციპით შერჩეულმა ხუთმა მასწავლებელმა, რომლებიც მუშაობენ კერძო და საჯარო სკოლებში და აქვთ 3-დან 20 წლამდე გამოცდილება. გამოვიყენე თვისებრივი კვლევის მეთოდი და ინტერვიუს ტრანსკრიპტები დავამუშავე თემატური ანალიზის მეთოდით. კვლევის შედეგად გამოვლინდა 8 ძირითადი თემა: 1. მოზარდის დაუმორჩლებლობა და აგრესიული ქცევა, 2. მოზარდის თვითდამკვიდრების პროცესი, 3. მოზარდის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები, 4. მასწავლებლების ემოციური რეაქცია, 5. მასწავლებლის ავტორიტეტი, 6. მოზარდებთან მეგობრობა და მათი ნდობის მოპოვება 7. ეფექტური

სტრატეგიები, 8. ქცევის მართვის არაეფექტური სტრატეგიები. პირველი 4 თემა პასუხობს კითხვას, თუ როგორ აღიქვამენ მასწავლებლები მოზარდის ქცევით სირთულეებს, ხოლო მომდევნო 4 თემა - გამკლავების სტრატეგიებს. აღმოჩნდა, რომ მასწავლებლები მოზარდთა ქცევით სირთულეებს მიაწერენ ასაკობრივ მახასიათებლებს, ფსიქო-სოციალურ და პოლიტიკურ ფაქტორებსაც კი. საინტერესოა, რომ მათი გამკლავების მექანიზმები მოიცავს, როგორც ეფექტურ, ასევე არაეფექტურ მიდგომებს და მათი გაუმჯობესების გზაც ესახებათ მოზარდის ირგვლივ არსებული რგოლების ერთიანი მიდგომის გაუმჯობესებით. მნიშვნელოვანია, რომ მოზარდების ქცევით სირთულეებთან ყოველდღიური მუშაობა მასწავლებლებისთვის ასოცირდება მაღალი დისტრესისა და შფოთვის დონესთან, ემოციური რეგულაციის სირთლეებთან, ემოციურ და პროფესიულ გადაწვასთან, თვითეფექტურობისა და თვითშეფასების დონის დაქვეითებასთან, მარტოობისა და იზოლაციის შეგრძნების გაზრდასთან. მასწავლებელთა სამუშოთი კმაყოფილებისა და პოზიტიურის სასწავლო კლიმატის შესაქმნელად აუცილებელია, მასწავლებელთა ემოციურ სირთულეებთან და მოზარდა ქცევით სირთულეებთან გამკლავების ეფექტური მეთოდებისა და მექანიზმების შემუშავებაში მათი მხარდაჭერა.

Abstract

For educational psychology, considering psychological factors in the education system and adapting the teaching process to them is one of the important goals. Studying the difficulties that exist in the school environment is an effective method for this, as it enables us to identify the needs existing in the educational space and then implement an appropriate intervention plan. Teachers are the main link who experience the difficulties present in the school environment. Studying teachers' perspectives and coping mechanisms is important because it allows us to use the views of those who are in direct contact with students and the educational program and tailor an appropriate working plan to them. Adolescence is one of the critical stages of personality development and in the school environment it often manifests through various difficulties. It is interesting to explore teachers' views and attitudes specifically regarding this issue, in order to uncover how behavioral problems related to adolescence appear in the school setting and what coping mechanisms exist. Accordingly, the main research question of this study is: "How do teachers perceive and cope with adolescents' behavioral problems manifested in the school environment?". Five teachers participated in the study, selected based on accessibility, who work in private and public schools and have 3 to 20 years of experience. I used a qualitative research method and processed the interview transcripts using thematic analysis. As a result of the research, 8 main themes were identified: 1. Adolescents' disobedience and aggressive behavior, 2. The process of adolescents' self-establishment, 3. Factors affecting adolescent development, 4. Teachers' emotional reaction, 5. Teacher authority, 6. Friendship with adolescents and gaining their trust, 7. Effective strategies, 8. Ineffective behavior management strategies. The first four themes answer the question of how teachers perceive adolescents' behavioral problems, while the next four themes show how they cope with them. It turned out that teachers attribute adolescents' behavioral problems to age-related characteristics, as well as to psycho-social and even political factors. Interestingly, their coping mechanisms include both effective and ineffective approaches, and they see the way to improve them in enhancing the joint approach of the actors surrounding the adolescent. It is important that daily work with

adolescents' behavioral problems is associated for teachers with high levels of distress and anxiety, difficulties in emotional regulation, emotional and professional burnout, a decrease in self-efficacy and self-esteem, and an increased sense of loneliness and isolation. Therefore, it is necessary to support teachers in developing effective methods and mechanisms to cope with emotional difficulties and adolescents' behavioral problems, to increase teachers' job satisfaction and to create a positive learning climate.